



აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობა გამგებლის ბრძანება

ქ. თბილისი

N 2-20
01/03/2022

20-0-4-202203011435



აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- დამტკიცდეს:
 - აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი **დანართი 1**-ის შესაბამისად;
 - 2022-2023 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი **დანართი 2**-ის შესაბამისად;
 - საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები **3-6 დანართების** შესაბამისად.
- დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს (ქალბატონ მარინა დედარიანს) ერთი თვის ვადაში შეადგინოს:
 - საბიუჯეტო კალენდართან (**დანართი 2**) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;
 - ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;
 - კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი);
 - ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;
 - რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;

ე) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები **7-8 დანართების** შესაბამისად.

3. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

ლაშა მარგიანი

გამგებელი

